სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის ტენდერი
ავტომანქანების და დიზელ გენერატორების საწვავის შესყიდვაზე

1. მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, ტენდერის პროცესში მონაწილე კომპანიებს (შემდგომში პრეტენდენტი) განუმარტოს სს სადაზღვევო კომპანია იმედი ელის (შემდგომში კომპანია) მოთხოვნები და პირობები რათა, სრულად წარმოადგინოს სატენდერო წინადადება.

კომპანია სთავაზობს პრეტენდენტ/ებ/ს მიიღოს მონაწილეობა კომპანიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში ავტომანქანების და დიზელ გენერატორების საწვავის შესყიდვაზე. გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის www.tenders.ge საშუალებით.

შერჩეულ პრეტენდენტ/ებ/თან გაფორმდება ერთ წლიანი ხელშეკრულება, ხელშკრულების მხარეთა შეთანხმებით ანალოგიური პერიოდებით ავტომატური გაგრძელების პირობით.

ტენდერში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულებას გააფორმებს: სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“, სს „ევექსის ჰოსპიტლები“, "ევექსის კლინიკები".

შერჩევის პროცესში მონაწილე კომპანიები:

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია იმ პრეტენდენტს, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით საკუთრებაში ან/და მფლობელობაში გააჩნია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი მინიმუმ 35 ავტოგასამართი სადგურისგან (შემდგომში აგს) შემდგარი საცალო რეალიზაციის ქსელი, ქვეყნის მასშტაბით ყველა დიდ ქალაქში.

იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტს არ გააჩნია აგს დიდ ქალაქებში, უნდა იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია უახლოესი აგს-ის ადგილმდებარეობის შესახებ;

პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს ტექნიკური შესაძლებლობა, რათა უზრუნველყოს საწვავის მიწოდება ავტომანქანების გამართვის ავტომატური იდენტიფიკაციის სისტემის და/ან საბარათე სისტემის მეშვეობით;

ავტომატური იდენტიფიკაციის სისტემის არსებობა ჩაითვლება კონკურენტულ უპირატესობად;

ტენდერში გამარჯვებული კომპანია სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში ვალდებულია უსასყიდლოდ გადასცეს კომპანიას დროებით სარგებლობაში ფუნქციონალურად გამართული ავტომატური იდენტიფიკაციის მოწყობილობები და/ან საწვავის პლასტიკური ბარათები;

ტენდერში გამარჯვებული კომპანია ვალდებულია სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში უფასოდ მოახდინოს მოწყობილობების მონტაჟი, ხოლო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ მათი დემონტაჟი;

საჭიროების შემთხვევაში ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას უნდა შეეძლოს საწვავის კომპანიის მიერ მოთხოვნილ ადგილზე მოწოდება სითხის სახით (საწვავმზიდით) საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე;

შერჩევის პროცესის მიმდინარეობა

შერჩევა ჩატარდება შემდეგი განრიგით:

- პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2020 წლის 10 ნოემბერი 18:00 საათისა.
- შემსყიდველი განიხილავს შემოსულ სატენდერო წინადადებებს და მოახდენს პრეტენდენტ/ებ/ის, წარმოდგენილი წინადადებების შეფასებასა და გამარჯვებული კომპანიის (შემდგომში „კონტრაქტორი“) გამოვლენას, წინასწარ განსაზღვრული შერჩევის კრიტერიუმების მიხედვით.
- საჭიროების შემთხვევაში, შერჩეულ პრეტენდენტ/ებ/თან ჩატარდება დამატებითი მოლაპარაკებები.
- ტენდერის ფარგლებში შესაძლებელია მოხდეს რამოდენიმე გამარჯვებული კომპანიის გამოვლენა.
- საბოლოო ეტაპზე გამარჯვებულთან გაფორმდება ერთწლიანი ხელშეკრულება ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით ანალოგიური პერიოდებით ავტომატური გაგრძელების პირობით.

ტენდერი განხორციელდება შემდეგ ვადებში:

ტენდერის ეტაპები	ვადა
ტენდერის გამოცხადება	28 ოქტომბერი 2020 წ.
სატენდერო წინადადებების მიღება	10 ნოემბერი 2020 წ.
გამარჯვებული პრეტენდენტ(ებ)ის გამოვლენა	20 ნოემბერი 2020 წ.
ხელშეკრულების გაფორმება	30 ნოემბერი 2020 წ.

კომპანია იტოვებს უფლებას ტენდერის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შეაჩეროს ტენდერი, არ გააგრძელოს ტენდერი, შეწყვიტოს ან/და გამოაცხადოს ახალი ტენდერი პრეტენდენტ/ებ/თან წინასწარი შეთანხმების გარეშე. ტენდერის შეჩერების/ შეწყვეტის შესახებ პრეტენდენტებს ეცნობებათ მათ მიერ მითითებულ საკონტაქტო მისამართებზე.

ტენდერის შეჩერება ან/და შეწყვეტა არ გამოიწვევს რაიმე სახის, მათ შორის ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრებას კომპანიისთვის.

კომპანია იტოვებს უფლებას კონტრაქტის ხელმოწერამდე გააფართოვოს ან შეცვალოს თავისი მოთხოვნები გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებით, რის შესახებაც წინასწარ წერილობით ეცნობებათ შერჩეულ პრეტენდენტ/ებ/ს.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ტენდერის პირობებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია იტოვებს უფლებას არ განიხილოს სატენდერო წინადადება.

გადაწყვეტილებას გამარჯვებულად გამოვლენის თაობაზე იღებს კომპანია პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასის, კომპანიის გამოცდილების, რეპუტაციის,წარმოდგენილი მომსახურების ხარისხის, ინფრასტრუქტურის, ხელმისაწვდომობის და საკვალიფიკაციო დოკუმენტაციის შეჯამების საფუძველზე.

წესები და კითხვები

- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ/ებ/ის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება ძალაში უნდა იყოს შერჩევის პროცესის მთლიანი ვადის განმავლობაში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პერიოდის ჩათვლით.

- პრეტენდენტი პასუხისმგებელია შერჩევის პროცესის დასრულებამდე შეინარჩუნოს მათ მიერ მოწოდებული შემოთავაზების კონფიდენციალურობა.

გთხოვთ სატენდერო წინადადებაში სრულად შეავსოთ ყველა დანართი და პრეტენდენტის შესახებ ინფორმაციასთან წარმოადგინოთ შესყიდვების ელექტრონული სისტემის www.tenders.ge საშუალებით PDF ფორმატში, Excel -ის ფორმატში.

სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს:

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.
2. ფასების ცხრილი (დანართი #2-ის მიხედვით).
3. რეკომენდატორი კომპანიების ჩამონათვალი და საკონტაქტო ინფორმაცია.
4. ინფორმაცია საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული და კონტრაქტორი ავტოგასამართი სადგურების შესახებ. სადგურების გეოგრაფიული რუკა და ლოკაციების ზუსტი მისამართები.
5. შემოთავაზებული საწვავის დეტალური ტექნიკური მახასიათებლები, წარმოშობის და ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

2. შემოთავაზება

შერჩევა ტარდება წინამდებარე დოკუმენტის, დანართი #1 -ით და დანართი #2-ით განსაზღვრული მოთხოვნების და სპეციფიკაციების შესაბამისად.

შემოთავაზებული ფასები უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს;

3. კრიტერიუმები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

პრეტენდენტ/ებ/ი შეფასდებიან შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- მომსახურების ფასი
- პრეტენდენტის გამოცდილება
- პრეტენდენტის რეპუტაცია
- მომსახურეობის ხარისხი
- პრეტენდენტის ინფრასტრუქტურა

ტენდერში გამარჯვებული კომპანია ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

6. ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
7. ცნობა საგადასახადო ორგანოებიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;
8. შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა/სავალდებულო დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;

1-2 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის მომზადების თარიღი წინ არ უნდა უსწრებდეს, დოკუმენტების წარდგენის თარიღს 7 სამუშაო დღეზე მეტი ვადით;

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“ უფლებამოსილია საკვალიფიკაციო დოკუმენტაციაში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოახდინონ შერჩეული პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია თუ:

1. პრეტენდენტი ირიცხება მოვალეთა რეესტრში;
2. საგადასახადო ორგანოების მიერ პრეტენდენტის ქონებზე დადებულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა;
3. რეგისტრირებულია ყადაღა პრეტენდენტის ქონებაზე;
4. დაწყებულია პრეტენდენტის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
5. პრეტენდენტს არ გააჩნია ან/და შეჩერებული აქვს შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა.
6. პრეტენდენტს არ გააჩნია სავალდებულო დაზღვევის პოლისი.

გამარჯვებული პრეტენდენტ/ებ/ი ვალდებულია დადგენილ ვადაში წარმოადგინოს კომპანიაში საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ დადგენილ ვადაში არ იქნება სრულყოფილად წარმოდგენილი მოთხოვნილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია ან/და წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია არ დააკმაყოფილებს კომპანიის მოთხოვნებს, კომპანია აცნობებს ამის შესახებ პრეტენდენტს. კომპანია ულებამოსილია მოახდინოს ასეთი პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია და საკვალიფიკაციო დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ წინადადებით მიმართოს შემდგომი ყველაზე დაბალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტს.

პასუხისმგებლობა

ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტ/ებ/თან დაიდება ერთ წლიანი ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთი მუხლი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„მომწოდებელს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში არ აქვს უფლება შეცვალოს ხელშეკრულებაში ფიქსირებული მომსახურების ტარიფები.“

4. სხვა

კონფიდენციალობა

შერჩევის პროცესის მსვლელობის დროს პრეტენდენტ/ებ/ს უფლება აქვთ მოითხოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია. პრეტენდენტი პასუხისმგებელია სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელის“ მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, როგორც შერჩევის პროცესის მსვლელობის, ასევე მისი დასრულების შემდეგ მიუხედავად ტენდერის შედეგებისა.

5. დანართი

დანართში წარმოდგენილია სატენდერო პაკეტის შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

- **დანართი 1**
- **დანართი 2**

დანართი 1

ტენდერში გამარჯვებულმა შესაძლებელია შეცვალოს ტენდერში მოცემული საწვავის ერთეულის ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა:

1. PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის 2020 წლის სექტემბრის თვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში;

2. აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის 2020 წლის სექტემბრის თვის საშუალო არითმეტიკული;

3. 2020 წლის სექტემბრის თვეში ერთ მეტრულ ტონა საწვავზე მოქმედი აქციზის ოდენობა ლარებში;

გამარჯვებული მომწოდებლის საბოლოო ფასიდან ნავთობპროდუქციის (საწვავის) ტიპის მიხედვით გამოითვლება „Z“ აშშ დოლარში (ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები და საწარმოს მოგება) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

Z = (C*1000/D*1.18 - A)*1/R – P

რომელშიც:

C - ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი 1 ლიტრ საწვავზე (ტიპის მიხედვით ლარში);
R – აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის 2020 წლის სექტემბრის საშუალო არითმეტიკული;
D - სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი საწვავის ტიპის მიხედვით სიმკვრივის მაჩვენებელი (გრ/სმ3);
P - PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის 2020 წლის სექტემბრისთვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში;
A - 2020 წლის სექტემბრის თვეში მოქმედი აქციზის ოდენობა ერთ მეტრულ ტონა საწვავზე ლარებში და ნამრავლი 1.18-ზე გულისხმობს დღგ-ს;

გამარჯვებული მომწოდებლის 1 ლიტრი საწვავის (ტიპის მიხედვით) ფასი ყოველი კალენდარული თვისათვის გამოითვლება შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

C=(R*(P+Z)+A)*1.18*D/1000
სადაც:
P და R წარმოადგენს წინა კალენდარული თვის (საანგარიშო თვე) შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეებს;
A - მიმდინარე თვისთვის მოქმედ ერთ მეტრულ ტონა საწვავზე აქციზის ოდენობას ლარებში და ნამრავლი 1.18-ზე გულისხმობს დღგ-ს;
Z და D გათვალისწინებული გამარჯვებული სატენდერო წინადადებით განსაზღვრული უცვლელი სიდიდეებია;

C-ს ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ R-ის ან/და P-ს ან/და A-ს ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც იწვევს C-ს სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას საწვავის (ტიპის მიხედვით) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასთან მიმართებაში. ამასთან, C უნდა იყოს გამარჯვებული მომწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი საწვავის (ტიპის მიხედვით) მიწოდების

კალენდარული თვის განმავლობაში არსებული ფასების საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე მინიმუმ ტენდერის შედეგად დაფიქსირებული ფასდაკლების თანხით ნაკლები;
მაგალითი: თუ C1 – Δ ≥ C, საანგარიშსწორებო ფასი უდრის თვის დასაწყისში დადგენილ სახელშეკრულებო ფასს C, ხოლო თუ C1 – Δ < C მაშინ საანგაირიშსწორებო ფასი უდრის C1 – Δ ტოლ სიდიდეს.
C1 - კალენდარული თვის განმავლობაში არსებული ფასების საშუალო არითმეტიკული ოდენობა;
Δ - ტენდერში შემოთავაზებული საბოლოო ფასისა და ვაჭრობის დღეს საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი საწვავის ფასს შორის სხვაობა (ფასდაკლება);
2020 წლის ნოემბრის სახელშეკრულებო ფასი განისაზღვრება ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის (C) ტოლი სიდიდით;

თითოეულმა დამკვეთმა ორგანიზაციამ გამარჯვებული მომწოდებლის გამოვლენიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 10 დღისა უნდა წარუდგინოს გამარჯვებულ პრეტენდენტს მისი იმ ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობა (სავარაუდო რაოდენობა 115 ერთეული), რომლებშიც უნდა ჩაისხას საწვავი (ტიპის მიხედვით), თითოეულზე დაწესებული ლიმიტები და სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრები;